# საქართველო ევროკავშირის გზაზე

# ერთად ევროპული არჩევანისთვის

## რა ვიცით და რა უნდა ვიცოდეთ ევროპული არჩევანის შესახებ

## პროექტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის

*ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის, პროექტს „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ განახორციელებს.*

*ორგანიზაცია ოთხი თვის განმავლობაში ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტსა და სამცხე—ჯავახეთის რეგიონის ახალციხის მუნიციპალიტეტში, უზრუნველყოფს ეთნიკურად არაქართულენოვანი რეგიონის ახალგაზრდების ინფორმირებას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის, ცვლილებებისა და მოლოდინების შესახებ. გამართავს საჯარო ლექციას საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ და რეგიონის სამოქალაქო ჯგუფებთან ფართო დიალოგის ფონზე, წარმოაჩენს საქართველოს ევროპული არჩევანის ინსტიტუციურ მდგრადობას და უპირატესობას. ორგანიზაცია შეხვედრებს 1 ივლისს ახალციხეში, ხოლო 3 ივლისს მარნეულში გამართავს. პროექტით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებში შეხვედრის შემდგომ, გამოცხადდება კონკურსი, ხოლო სექტემბერში გამოვლინდებიან გამარჯვებული ავტორები.*

*„ახალგაზრდა ადვოკატები“, პროექტის განხორციელების პროცესში, უზრუნველყოფს აქტიურ კომუნიკაციას არაქართულენოვანი რეგიონის საგანამნათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. მოამზადებს მათთან შეხვდრებს, თემაზე გაიმართება საჯარო ლექცია, გამოიცემა საინფორმაციო გაზეთი საქართველოს ევროპული არჩევანის შესახებ, პროექტში მონაწილე წევრები გაზეთის გავრცელებას თავად მოახდენენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ამასთან, ორგანიზაცია თემაზე: „საქართველო ევროკავშირის გზაზე“, გამოაცხადებს ანალიტიკური სტატიების კონკურსს, ფორმირებას გაუკეთებს საკონკურსო კომისიას და მოამზადებს დასკვნით კონფერენციას შერჩეულ რეგიონებში. ორგანიზაცია, კონკურსის შედეგად გამოსცემს გამარჯვებული ნაშრომების კრებულს და დაჯილდოვებს წარმატებული თემის ავტორებს. ამასთან, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია თანამშრომლობა ევროიტეგრაციის მიმართულებით სამთავრობო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოში.*

*პროექტს მხარდაჭერა უკვე გამოუცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა, სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატმა, მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა, ადგილობრივმა საგანმანათლებლო რესურსენტრებმა. პროექტის მიმდინარეობისა და შესაძლო მხარდაჭერის შესახებ წერილობით ეცნობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოში ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლობებს.*

*ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს ევროპული არჩევანი საპასუხისმგებლო, ისტორიული მომენტია, ამ პროცესში კი ახალგაზრდების ჩართულობა ახალი საზოგადოებრივი თვითშეგნების, მართლწესრიგისა და სოციალური გარემოს შექმნისთვის ერთ—ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. პროექტის მომზადება სწორედ ამ მიზნებით გახდა აუცილებელი, რადგანაც ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხდება, მათ შორის ეთნიკურად უმცირესობაში მყოფი ახალგაზრდების ინფორმირება, თუ რა პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. პრობლემის დაძლევისთვის საჭიროა ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინფორმაცია ევროპული არჩევანის სიკეთეებისა და მნიშვნელობის შესახებ.*

*ამასთან, ორგანიზაციის აზრით, პროექტის განხორციელების პროცესში, რისკ-ფაქტორებად უნდა დასახელდეს არასწორი წარმოდგენა ევროპული ინტეგრაციის მიმართ. არსებობს უამრავი სტერეოტიპი, რითაც ევროპასთან საქართველოს ურთიერთობა წარმოჩენილია, როგორც ტრადიციულობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დათმობაზე მითითებით, ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთ—საქართველოს ურთიერთობა, რომელიც, თითქოსდა აფერხებს ევროინტეგრაციის პროცესს. პროექტის ავტორთა შეფასებით, აღნიშნული რისკები აღმოიფხვრება და პროექტის მრავალფეროვანი აქტიურობები, ინიციატივაში ახალგაზრდების უშუალო თანამონაწილეობა, ყველა გამოწვევაზე საგნობრივი დისკუსია, სწორი ხედვის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.*

*ორგანიზაცია პროექტს „ერთად ევროპული არჩევანისთვის“ 05/05/2014 — 05/09.2014 შუალედში გამართავს. ორგანიზაცია, აღნიშნულ ინიციატივას, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ საგრანტო პროექტის ფარგლებში ახორციელებს.*

## საქართველო და ევროკავშირი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობსა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 1996 წელს იქნა მიღებული, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.

- 2004 წლის 14 ნოემბერს მოხდა საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.
- 2006 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა ევროკავშირსა და საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმა.
- 2009 წლის გაზაფხულზე, ევროკავშირმა წამოაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, 2010 წელს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
- 2011 წლის 17 ნოემბერს ევროპარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით "საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე ევროპარლამენტის რეკომენდაციები ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიისა და საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის მიმართ".
- 2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე.
- 2013 წლის 28 ნოემბერს ვილნიუსის სამიტის ფარგლებში დასრულდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ ტექნიკური პარაფირების პროცესი.
- 2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა.


ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
CHILDREN AND YOUTH DEVELOPMENT FUND

ღირსება თავისუფლება თანასწორობა

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY LIBERTY EQUALITY

# რა არის ევროკავშირი?

ევროპის კავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც 28 ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთო ფართობი 3.892 ათასი კვ.კმ-ია, მოსახლეობა — 455მ ლნ. ევროკავშირის მთავარი დევიზია In variate Concordia (ერთიანობა მრავალფეროვნებაშია).

ევროკავშირის წევრი ქვეყნებია: ბელგია გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია.

ევროკავშირის ისტორია იწყება 1951 წლიდან, როდესაც ექვსმა ქვეყანამ (დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია) დააარსა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა. თანამეგობრობა დაარსდა 50 წლის ვადით და ევროკავშირში მისი ინტეგრაცია 2002 წელს მოხდა. 1957 წელს შეიქმნა ევროპული თანამეგობრობა — ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ანუ "საერთო ბაზარი". ამავე წელს შეიქმნა ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა.

1967 წელს ბრიუსელში დადებული გაერთიანების ხელშეკრულებით, ზემოაღნიშნული სამი თანამეგობრობა გაერთიანდა ერთიანი სახელის ქვეშ — ევროპული თანამეგობრობა.

1973 წელს ევროთანამეგობრობას შეუერთდა ინგლისი, ირლანდია და დანია, 1981 წელს საბერძნეთი, 1986 წელს ესპანეთი და პორტუგალია.

1993 წელი ევროკავშირის ფორმალური დაარსების თარიღია, როდესაც მაასტრიხის ხელშეკრულებით ტერმინი „ევროპის თანამეგობრობა" „ევროკავშირმა" ჩაანაცვლა. ხელშეკრულების მიზანი ევროპის ხალხებს შორის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა იყო. 1995 წელს ევროკავშირს ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდა და ევროკავშირის გაფართოება დღემდე გრძელდება (2013 წელს ევროკავშირის უახლესი წევრი ხორვატია გახდა).

2001 წელს სახელმწიფოთა მეთაურების დეკლარაციით ევროკავშირის კონსტიტუციის შექმნის წინადადება წამოიჭრა. კონსტიტუციის მიზანი იყო ევროკავშირის თანამეგობრობისა და ევროკავშირის ნაცვლად კონსტიტუციაზე დაფუძნებული ერთიანი ევროკავშირის დაარსება. რეფორმების იდეამ კრახი განიცადა და 2007 წლიდან ახალი რეფორმები მომზადდა, რომელმაც ევროკავშირის კონსტიტუციის იდეა ერთიანი ხელშეკრულების შექმნის იდეით ჩაანაცვლა. რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა და 2007 წელს მომზადებული ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში 2009 წელს შევიდა.

## როგორ გავწევრიანდეთ ევროკავშირში?

ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭიროა სამი ძირითადი პირობის, ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" (პოლიტიკური, ეკონომიკური და community acquis კრიტერიუმები) დაკმაყოფილება:

დემოკრატიის, მართლწესრიგის, ადამიანის უფლებების და უმცირესობების დაცვის მაგარანტირებელი ინსტიტუტების სტაბილურობა - პოლიტიკური კრიტერიუმი;

ევროკავშირის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების და შეჯიბრებითობის, სხვა საბაზრო პირობებისთვის მორგების უნარი — ეკონომიკური კრიტერიუმი;

ევროკავშირის წევრების ვალდებულებების დაკისრება, მათ შორის ევროკავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო მიზნების დაცვა - community acquis კრიტერიუმი.

კანდიდატი ქვეყნები მიერთების განცხადებით მიმართავენ ევროკავშირის საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას ერთსულოვნად იღებს. კანდიდატებმა ასევე უნდა აცნობონ ევროპარლამენტსა და ეროვნულ პარლამენტებს, თუმცა ისინი გადაწყვეტილების პროცესში არ მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ ლისბონის ხელშეკრულებით პირველად ხდება ევროკავშირიდან გამოსვლის მუხლის მიღება. ევროკავშირიდან გასვლას წყვეტს ევროკავშირის საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით და ევროპარლამენტის თანხმობით. თუ ეს ქვეყანა მომავალში კვლავაც მოინდომებს წევრობას, მას ახლიდან მოუწევს განცხადების გაკეთება და შესვლის კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

# ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ახალი აქტია

ორგანიზაცია "ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს მოსახლეობას მიმართავს და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის მნიშვნელობის მიმართ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ მოუწოდებს, რამდენადაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, რეალობა ხდება კონსტიტუციით განმტკიცებული ქართველი ხალხის არჩევანის დეკლარირება დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკური თავისუფლება, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც საქართველოსთვის ევროკავშირთან და ევროპულ ინტეგრაციასთან კავშირის გარეშე, წარმოუდგენელია.

"ახალგაზრდა ადვოკატების" იურისტ ნინო ისაკაძის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ახალი აქტია, ვინაიდან 2014 წლის 27 ივნისიდან, საქართველოში თანდათანობით უნდა შეიცვალოს არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. ქვეყანა ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით საზოგადოებისთვის ქმნის ახალ სამართლებრივ სივრცეს და შესაძლებლობას, რომელმაც უნდა განამტკიცოს დემოკრატია და უფლებათა დაცვის გარანტიები საქართველოში, ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას.

"ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, მნიშვნელოვანია, საქართველოსთვის ისტორიული გადაწყვეტილების შემდგომი მდგრადობისა და განვითარებისთვის, მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს ქვეყნის აღმასრულებელმა, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ვინაიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდეს ჯეროვნად და საზოგადოებისთვის ხელშესახები აღმოჩნდეს ევროინტეგრაციის პროცესში მიღწეული წარმატების სიკეთეები. ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, მთავრობას, პარლამენტს და სასამართლოს მოუწოდებს:

**1. დაიწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, გაძლიერდეს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი რეფორმების გზით, მყარი გახდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, მმართველობის სისტემამ უზრუნველყოს კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა და არჩევითი დემოკრატიის მიმართ ერთგულება**

**2. პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში, უზრუნველყოფილ იქნეს ხალხის რეალური თანამონაწილეობა. მნიშვნელოვანია, გაიზარდოს საზოგადოების პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვის პროცესშიც და გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი დემოკრატიული რეფორმების პროცესში.**

**3. საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მნიშვნელოვანია სწრაფი ცვლილებები განახორციელოს, რომელიც შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში აუცილებელ რეფორმებს დააჩქარებს.**

**4. საქართველოს პარლამენტმა, გონივრულ ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ეროვნული სამართლებრივი სივრცის ახალ, ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.**

**5. საქართველოს სასამართლო სისტემა უნდა გახდეს მაღალი დემოკრატიული სტანდარტის შემომტანი, სადაც მხარეთა თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითობა იქნება პოლიტიკური ჩარევისგან დამოუკიდებელი. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური ნების მართლზომიერების შემოწმება და რეალური არბიტრის როლის შესრულება.**

მიგვაჩნია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამბიციური და ინოვაციური დოკუმენტია, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ორგანიზაცია, მთელ ამ პროცესში, საკუთარ წვლილს შეიტანს სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის მიმართულებით. სამართლის ჯგუფი უკვე მუშაობს შეთანხმებით ნაკისრი მიმართულებების შესრულების მონიტორინგის გეგმაზეც, რომელიც, კონკრეტულად მოიცავს დასაქმების, სატრანსპორტო პოლიტიკის, გარემოს, კონკურენციის, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხების ექსპერტიზას. ახალგაზრდებში, საქართველოს ევროპული არჩევანის ინფორმირების მიზნით, "ახალგაზრდა ადვოკატები" ახორციელებენ საგრანტო პროექტსაც: "ერთად ევროპული არჩევანისთვის".



# 27 ივნისი - მზკიცე ნაბიჯი თავისუფალი ევროპისკენ

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ხოლო ევროკავშირის მხრიდან - ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპუიმ. ხელშეკრულებაზე ხელი ასევე ხელი მოაწერეს ევროკავშირის 28 ქვეყნის მეთაურებმა.

"დღეს საქართველო დიდ ნაბიჯს დგამს თავისუფალი ევროპისკენ! ვულოცავ ამ დღეს მთელ საქართველოს!" -ამგვარი მილოცვით დაიწყო სიტყვით გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე. მან უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს და აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის იყოს მშვიდობისა და თანამშრომლობის გარანტი რეგიონში.

"დღეს ჩემი სამშობლოს ისტორიაში იწერება ახალი დიდი თარიღი, რომელიც ჩვენ იმედს გვისახავს და რომლითაც ჩვენი შთამომავლობა იამაყებს. სწორედ ამ დღის დადგომაზე ფიქრსა და ზრუნვას შეალია ცხოვრება არაერთმა თაობამ. ამ დღეს დიდხანს ელოდა ჩემი ქვეყანა. მე ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი, სინამდვილედ ექცია ჩვენი წინაპრების ოცნება," - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს - ევროპას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სივრცეს.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მთავრობის მეთაურმა აფხაზ და ოს ძმებსაც მიმართა და მათ ევროპასთან დაახლოვების შესაძლებლობა შესთავაზა.

"ჩემო თანამემამულენო, ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ! თქვენ, დღეიდან, ჩვენთან ერთად, ამ პროცესის თანაზიარი ხართ! თქვენ გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც ევროპასთან დაახლოვებას მოაქვს," - აღნიშნა პრემიერმა. მანვე ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში დაწყებულ ახალი ეტაპზე და განაცხადა, რომ ასოცირების შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას ქვეყანაში ეტაპობრივად დანერგოს ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტები.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპუის განმარტებით, ევროკავშირის საბოლოო მიზანი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სრულფასოვანი გაწევრიანება და მათი ევროპულ ოჯახში დამკვიდრებაა.

"ევროკავშირი თქვენ გვერდით დგას, გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა, სოლიდარობა, ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. უფრო ძლიერი კავშირები დააკავშირებს ჩვენს ქვეყნებს და სრულიად ევროპულ კონტინენტს განვითარებას მოუტანს და სტიმულს მისცემს,"-განაცხადა ჰერმან ვან რომპუიმ.

თავის მხრივ, ისტორიული დღე უწოდა 27 ივნისის თარიღს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ.

"დღევანდელი დღე არის სტრატეგიული მიზნის დასაწყისი, რომ ეს ქვეყნები გახდნენ ინტეგრირებული პოლიტიკურად და ეკონომიკურად ევროკავშირთან. სირთულეების მიუხედავად, ვაპირებთ შეთანხმების ხელმოწერას უკრაინასთან, მოდლოვასთან და საქართველოსთან. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ კანონის უზენაესობის, რეფორმებისა და ღია საზოგადოების კონსოლიდირება, არამედ მთელი ევრიპისთვისაც", - აღნიშნა ბაროზომ.

## პატრიარქი: ღმერთმა დალოცოს ყველა ადამიანი, რომელიც შრომობდა ამ ბედნიერი დღისათვის

"ღმერთმა დალოცოს ყველა ადამიანი, რომელიც შრომობდა ამ ბედნიერი დღისათვის ჩვენ, როგორც არასდროს, ვუახლოვდებით ევროპის კულტურას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის არამარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობა" - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისმა უწმინდესობამ დალოცა ყველა, ვინც ამ დღისთვის შრომობდა. "თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებავ, პრემიერ-მინისტრო, ქალბატონებო და ბატონებო, დღეს არის ბედნიერი დღე. სრულიად საქართველო და ყოველნი ქართველნი ზეიმობენ დღევანდელ დღეს. ჩვენ, როგორც არასდროს, ვუახლოვდებით ევროპის კულტურას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის არამარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობა. საქართველომ უნდა აჩვენოს ევროპას და მთელ მსოფლიოს ჩვენი უძველესი კულტურა, ჩვენი საგალობლები, ჩვენი სიმღერა, ჩვენი წარსული, ფასეულობა. ღმერთმა დალოცოს ყოველი ადამიანი, რომელიც შრომობდა ამ ბედნიერი დღისათვის", - ბრძანა ილია მეორემ.

## პრეზიდენტი: ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ხალხს კეთილდღეობას მოუტანს

„ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ხალხს კეთილდღეობას მოუტანს, უფრო სტაბილურ, დემოკრატიულ ინსტიტუტებს გააძლიერებს, უფრო პასუხისმგებელ და საჭიროებებზე ორიენტირებულ მთავრობას შექმნის. ის გაზრდის ტურისტულ მიმართულებას, ეკოლოგიურ, საგანმანთლებლო სისტემებს გააძლიერებს და აიყვანს ევროპულ დონეზე. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ასოცირების ხელშეკრულება, ეს იქნება დასაწყისი იმ პროცესისა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მთელი ერი აცხადებდა ძალიან მტკიცედ და მყარად", - განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ასოცირების ხელშეკრულება არის ახალი ნაბიჯი ევროკავშირის სრულ წევრობამდე.

"ჩვენ გამოვიყენებთ ამ სარგებელს, რეფორმებს როგორც ინსტრუმენტს, როგორც განაცხადს ევროპულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად", - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა. პრეზიდენტმა პარლამენტს, მთავრობას მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მათ ბევრი სამუშაო ჩაატარეს და მათ ეს მუშაობა ყველამ უნდა დაუფასოს. "მაგრამ, ყველაზე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ხალხს, რომელმაც ამ ყველაფერს მიაღწია. ქართველ ხალხთან ერთად, მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი ქვეყნის სულიერ ლიდერს, მის უწმინდესობას, იმიტომ, რომ ძალიან სწორი აქცენტები მოგვცა ამ გზაზე. ძალიან მიყვარხართ, გილოცავთ, თქვენთან ერთად ვიქნები მომავალი გამარჯვებებისკენ".

## პარლამენტის თავმჯდომარე — ევროპა ყველაზე თავისუფალი და სამართლიანია

„ასრულდა მრავალი თაობის ქართველთა ოცნება და საქართველომ გააკეთა თავისუფალი არჩევანი და გადადგა ნაბიჯი ევროპისკენ. ევროპა არ არის სრულყოფილი, ევროპა არ არის ამქვეყნიური სამოთხე, მაგრამ ვიცით ისიც, რომ ევროპა არის ყველაზე თავისუფალი, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე უსაფრთხო. ევროპა არის ის ადგილი, სადაც ეროვნული თვითმყოფადობა ყველაზე უკეთ არის დაცული ყველაზე მცირე ერებისთვისაც კი. ჩვენ, პატარა საქართველო, მცირერიცხოვანი ქართველები არ ვართ შეშფოთებული იმით, რომ დიდ ევროპას ვუერთდებით, იმიტომ, რომ დღევანდელი ევროპის 28 წევრი სახელმწიფოდან 13 ჩვენზე პატარაა ტერიტორიით, 9 — ჩვენზე მცირერიცხოვანია მოსახლეობით, მაგრამ სორედ ამ ხალხებმა გაერთიანებულ ევროპაში ჰპოვეს მშვიდობა. ჩვენ ევროპაში გველოდება 40 000 მილიონი ერთმორწმუნე მართლმადიდებელი, სხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან ერთად. ჩვენ არ მივდივართ უცხო გარემოში, ჩვენ ვბრუნდებით იქ, სადაც ცივილიზაციურად ყოველთვის იყო ქართველების ადგილი. ევროპასთან ასოცირებით არსად არ მივდივართ კავკასიიდან, ჩვენი კულტურიდან, პირიქით, ვრჩებით იმისთვის, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, გავმდიდრდეთ და უკეთ გავაცნოთ მსოფლიოს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ გავაგრძელებთ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ყველა ქვეყანასთან, ვისაც ამის სურვილი ექნება, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული არჩევანისა, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# საქართველო ევროკავშირის გზაზე

ევროკავშირი არის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი ევროპაში. მისი მიზანია მის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებში კეთილდღეობის, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მისი დადებით მხარე არის ეკონომიკური ზრდა და საგარეო ვაჭრობა, პოლიტიკური სტაბილურობისა და კანონის უზენაესობის გავრცელება, ადამიანური რესურსების, იდეების, გამოცდილებისა და კულტურის ორმხრივი გაცვლა.

ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს საუკეთესო არჩევანს ეროვნული უსაფრთხოების,

დემოკრატიული საზოგადოების სტაბილურობის, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

### თავისუფალი მიმოსვლა

თავისუფალი მიმოსვლა გულისხმობს საზღვრების გახსნას, უვიზო მიმოსვლას. ევროკავშირის წევრ ქვეყნების ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ დაბრკოლებების გარეშე იმოგზაურონ, იცხოვრონ, იმუშაონ და ა.შ. შესაძლებლობა ექნებათ სამსახური შედარებით მარტივად იპოვონ სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე. თავისუფალი მიმოსვლა ზრდის ტურიზმის განვითარებას, მათ რაოდენობას, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახება.

სახელმწიფოთა მიერ საზღვრების გახსნა, სწრაფი ტექნოლოგიური ზრდა, საინფორმაციო ტექნოლოგიების დახვეწა, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა და თანამშრომლობის უფრო მაღალი დონე კარგ შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები და განვითარების მაღალ დონეს მინიმალური დანახარჯებით მიაღწიონ.

### ევროპული საერთო ბაზარი

ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს ბაზარს შიდა საზღვრების გარეშე, რაც უზრუნველყოფს საქონლის და მომსახურების დაუბრკოლებელ გადაადგილებას. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის მსოფლიოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 24%.

თავისუფალი ვაჭრობა გულისხმობს ყველანაირი შეზღუდვის მოხსნას ქვეყნებს შორის ვაჭრობის თვალსაზრისით, ვაჭრობას საბაჟო ტარიფების და კვოტების გარეშე, არანაირი გადასახადი იმპორტ/ექსპორტისას ევროკავშირის ქვეყნებ შორის ვაჭრობისას. თავისუფალ ზონაში შემავალ ქვეყნებს ეხსნება საბაჟო გადასახადები, სავაჭრო შეზღუდვები, ტარიფების გარდა არსებობს ე.წ. არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება სწორედ ამ ბარიერების მოხსნასაც გულისხმობს, რაც პარტნიორებს შორის საქონლითა და მომსახურეობით ვაჭრობაში საერთო თამაშის წესებით ხელმძღვანელობიდან გამომდინარეობს. ეს კი თავის მხრივ, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჰარმონიზაციას და სხვადასხვა სფეროებში პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს.

ევროკავშირთან საერთო ეკონომიკურ სივრცეში მოქცევა საქართველოში დამზადებულ ნაწარმს ევროპაში ისეთივე სარეალიზაციო პირობებს შეუქმნის, როგორითაც ადგილობრივი, ევროპული პროდუქცია სარგებლობს. მაგალითად, გორში ან გურჯაანში დამზადებული ხილფაფა ევროპის სუპერმარკეტებში ზუსტად იგივე პირობებით გაიყიდება, როგორითაც, მაგალითად საფრანგეთის პროვანსში ან იტალიის ლომბარდიაში დამზადებული ანალოგიური პროდუქტი.

აღნიშნულის გარდა, საქართველო ბევრად მიმზიდველი გახდება ინვესტორებისათვის, ვინაიდან ისინი საქართველოში წარმოებულ საქონელს ევროპულ ქვეყნები ყოველგვარი ბარიერისა და დამატებითი ფორმალობების გარეშე შეიტანენ. ყოველივე ზემო აღნიშნული საერთო ჯამში საქართველოს ეკონომიკაზე, დასაქმებაზე დადებითად აისახება.

### ევროკავშირის სამართალი

ევროკავშირს დადგენილი აქვს სამართლის ძირითადი სტანდარტები, რომელსაც წევრი სახელმწიფოთა ეროვნული სამართალი უნდა შეესაბამებოდეს. სამართლის ძირითადი პრინციპებია დემოკრატიის პატივისცემა, საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვა, სახელმწიფომ ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანოს სათანადო შესაბამისობაში, რომ გაუმჯობესდეს კონკურენციის საერთი წესები, რომელიც საერთო ჯამში აუმჯობესებს ეკონომიკას, თავისუფალ ვაჭრობას და ზღუდავს მონოპოლიას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მიზანი მის ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებში კეთილდღეობის, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა, დღესდღეობით მისი უარყოფითი მხარეებიც იკვეთება. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ევროკავშირში ინტეგრაციის უარყოფით მხარეთა გაანალიზება და ამ პრობლემების მომავალში აღმოფხვრისათვის საჭირო გეგმის ჩამოყალიბება დღეიდანვე უნდა დაიწყოს. ინტეგრაციის დადებით მხარესთან ერთად საჭიროა ხალხმა გააცნობიეროს ყველა ის გამოწვევა, რომელსაც ევროკავშირი უქადის ჩვენს ქვეყანას.

### ეროვნული თვითმყოფადობა

ამგვარ პრობლემათაგან ერთ-ერთი საქართველოში უფრო და უფრო პოპულარული ხდება. საუბარია დღეს, 21-ე საუკუნეში, ანუ გლობალიზაციის პერიოდში საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მოქალაქეები, განსაკუთრებით კი ზომით მცირე ქვეყნებში მცხოვრები ერები შიშობენ საკუთარი ქვეყნის მომავალზე სრულად ინტეგრირებულ ევროპაში. ისინი თვლიან, რომ მკვეთრი ინტეგრაცია გამოიწვევს ევროკავშირისათვის ეროვნული თვითმყოფადობისა და სუვერენიტეტის დათმობას. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა გლობალიზაციასა და ეროვნულ კულტურას შორის არჩევანის გაკეთებაშია. თუმცა, რამდენად მართებულად არის დანახული აღნიშნული დილემა, ალბათ გასარკვევია, რადგან გლობალიზაცია უკვე დაწყებული პროცესია და მისი შეჩერება დღეს უკვე თითქმის წარმოუდგენელია.

ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი თემაა. ჩვენი ქვეყანა აშკარად დგას ამ პრობლემის წინაშე, თუმცაღა გასათვალისწინებელია ისიც, რომ არავინ გვაძალებს დავთმოთ ის, რაც მამა-პაპათაგან დაგვრჩა. საქართველოს არ უნდა შეეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან მას წარსულში დიდი გამოცდილება აქვს და მიუხედავად უამრავი იმპერიის ზეგავლენისა, თვითმყოფადობა არასდროს დაუკარგავს.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემები

როცა საუბარია საგარეო ვაჭრობაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ევროკავშირის მიერ დადგენილი ის მინიმალური სტანდარტები, რომელსაც ნებისმიერი სახის პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს ბაზარზე. სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება შეექმნას საქართველოს პრობლემები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ქვეყნის პროდუქტის დასავლეთში გატანისათვის საჭირო იქნება მისი ფინანსური მხარდაჭერა. საჭირო იქნება საექსპორტო წარმოების, ოპერაციებისა და დაკრედიტების სისტემის ჩამოყალიბება. ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უამრავი სამუშაოს გაწევა იქნება საჭირო, რადგან ევროკავშირი მტკიცედ ითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების დანერგვას.

### საგარეო ურთიერთობების შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ წარმატებული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ევროპაზე აქცენტირება საქართველოს სხვა, არაევროპულ ქვეყნებთან, როგორიცაა აშშ და ჩინეთი, უფრო პასიურს გახდის. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებთან საბოლოოდ შეწყდება ურთიერთობა, არა, უბრალოდ მოკლევადიან პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს ყველაზე მეტი მუშაობა დასავლეთ ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისათვის დასჭირდებათ.

### სუვერენიტეტის შეზღუდვა

ამასთან, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია გარკვეულწილად გამოიწვევს ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან არ გამოსცენ იმგვარი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ძირითად პრინციპებს. მეტიც, ისინი ვალდებული არიან გარდაქმნან საკუთარი კანონმდებლობა იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოექცნენ ევროკავშირის სტანდარტებთან. მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არიან ირლანდიაც, პორტუგალიაცა და საბერძნეთიც და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სტაბილური ეკონომიკური გარემო გააჩნდათ, ახლა უდიდესი პრობლემების წინაშე დგანან, ევროკავშირს კი ამ პრობლემის აღმოფხვრა უჭირს.

ძალიან რთულია იქონიო კანონთა საერთო სისტემა უამრავი ქვეყნისათვის, რომელთაც განსხვავებული კულტურა და ტრადიციები აქვთ. აშკარაა, რომ კანონები და რეგულაციები, რომლებიც შეიძლება ევროკავშირის წევრ ქვეყანათა ერთი ნაწილისთვის იყოს მისაღები, შესაძლებელია მიუღებელი გახდეს მეორე ნაწილისათვის. მიუხედავად დადებითი მხარეებისა, ეს გაერთიანება ართულებს ყველა იმ პროცესს, რაც უფრო მარტივად შეიძლება მოაგვაროს სახელმწიფომ.

ევროკავშირის დადებითი და უარყოფითი მხარეებზე შეიძლება ბევრი ვისაუბროთ, თითოეულ საკითხზე არსებობს ექსპერტთა განსხვავებული მოსაზრებები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საწყის ეტაპზე იქნება ბევრი დაბრკოლება, მოკლევადიან პრესპექტივაში ასოცირება შეიძლება ზიანის მომტანი იყოს ქვეყნისთვის, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გრძელვადიან პრესპექტივაში ევროკავშირი ქვეყნის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ სიმყარეს უზრუნველყოფს, რისი ნათელი მაგალითია ევროკავშირის ისტორია.

# ქართული წარმოების თითქმის ყველა პროდუქტი საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ქართული წარმოების ყველა პროდუქტი, ნიორის გარდა, რომელზეც რაოდენობრივი შეზღუდვა იმოქმედებს, ევროკავშირის ბაზარზე გასვლისას საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ასოცირების შეთანხმების ნაწილია, ითვალისწინებს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი, თუმცა გარკეული შეზღუდვები მაინც იარსებებს. კერძოდ, წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტია ნიორი. აღნიშნული კვოტა 220 ტონას შეადგენს, რომელზე გადაჭარბების შემთხვევაშიც, საქართველოს საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, 28 დასახელების პროდუქტი ევროკავშირში იმპორტისას უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადის გადახდას, ამ გადასახადის ადვალორული (ტვირთების გადაზიდვის გადახდაზე, საბაჟო გადასახადებზე და სხვა გადასახადებზე, რომელიც ირიცხება არა ტვირთის ერთეულისთვის, არამედ მისი ღირებულების პროცენტებში) კომპონენტის გარეშე. ამასთან, ცალკე ჩამოთვლილია გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული პროდუქტები, რომელზეც იმპორტის ზღვრული დონეა დაწესებული.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ჯერ კიდევ მის რატიფიცირებამდე შეიქმნება, ვინაიდან შეთანხმების სრულად ძალაში შესვლამდე მისი ნაწილი, მათ შორის მეოთხე კარი, რომელიც DCFTA-ს ეხება, წინმსწრებად, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის შემოდგომიდან ამოქმედდება.

უდავოა, რომ ასოცირების შესახებ ხელშეკრულება ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი ქვეყნისთვის. შესაბამისად მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქე ინფორმირებული იყოს იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებსაც შეთანხმება მოიცავს.

ასოცირების შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა. აღნიშნულის საბოლოო მიზანი საქართველოსთვის ევროკავშირში მოქმედ ისეთ თავისუფლებებზე წვდომაა, როგორიც არის საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შედეგად გაუქმდება საბაჟო გადასახადები იმპორტზე, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის საქართველოს ეკონომიკას.

უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ევროკავშირის მზადყოფნა დაეხმაროს საქართველოს ისეთი სფეროების რეფორმირებასა და განვითარებაში როგორიც არის დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და ჯანდაცვა, რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება და სხვა.

ხელშეკრულებაში ნათლად არის დაფიქსირებული ევროკავშირის მზადყოფნა ფინანსური დახმარება გაუწიოს საქართველოს სხვადასხვა რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია რომ 2011-2013 წებში საქართველოს ევროკავშირისგან დახმარების სახით 180 მლნ ევრო გამოეყო.

# როგორია ევროკავშირის შიდა და საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირის პოლიტიკა თავისი უნიკალური ბუნებიდან გამომდინარე, სხვა ორგანიზაციების პოლიტიკისგან რადიკალურად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს. ევროკავშირის პოლიტიკის განხილვისას მნიშვნელოვანია ევროკავშირის შიდა და გარე მიმართულებების გამოყოფა.

## ევროკავშირის შიდა პოლიტიკა

ვროკავშირი კონფედერაციის მსგავსი ერთეულია, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები ფედერალიზებულია შესაბამის უფლებამოსილ ინსტიტუციებში. პოლიტიკის მიმართულებები განისაზღვრება თავად წევრი სახელმწიფოების მიერ. ევროკავშირში, არსებითი ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე ვრცელდება საერთო ევროკავშირის სამართალი, რომელიც შიდა სამართალზე მაღლა დგას. ევროკავშირის ხელშეკრულებები ცხადყოფს ევროკავშირის დემოკრატიულ საფუძვლებს.

სამართლებრივად ევროკავშირი ხელშეკრულებათა ერთიანობას წარმოადგენს, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის განსაზღვრული საერთო უფლებამოვალეობები.

რაც შეეხება ევროკავშირის კომპეტენციებს, ორი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი. ერთის მხრივ, არსებობს საკითხები, სადაც ევროკავშირი ფლობს ექსკლუზიურ კომპეტენციას და წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაექვემდებარონ ევროკავშირის ზოგად სტანდარტებს. რიგ შემთხვევებში კი ევროკავშირი დამხმარე როლს ასრულებს წევრი ქვეყნების ქმედებებში და ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ კომპეტენციებს.

ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებს სხვადასხვა უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია. ევროპის პარლამენტი 5 წელიწადში ერთხელ აირჩევა ევროკავშირის ხალხის მიერ დამ ის მთავარ საქმიანობას ევროპული კანონების მიღება წარმოადგენს. საბჭოსთან ერთად მის კომპეტენციაში შედის ასევე ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.

ევროპის საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. ევროპის საბჭო იკრიბება ყოველ ექვს თვეში ორჯერ, პრეზიდენტის მოწვევით. რიგ შემთხვევაში, ხდება სპეციალური მოწვევებიც. ევროპის საბჭოს შემადგენლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მთავრობისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები, პრეზიდენტთან და კომისიის პრეზიდენტთან ერთად. ევროპის საბჭო ჩვეულებრივ ბრიუსელში იკრიბება.

ევროკავშირის საბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა. იგი მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაშიც. ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებს განსახილველ საკითხზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს მინისტრები ესწრებიან.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს კანონპროექტებს და წარუდგენს პარლამენტსა და საბჭოს. განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ფონდებსა და პროგრამებს.

## ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირი მნიშვნელოვანი მოთამაშეა მსოფლიო არენაზე, რომელსაც რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების ინტერესები და ვალდებულებები გააჩნია. საერთო საგარეო პოლიტიკის მეშვეობით, ევროკავშირი ერთიან პოზიციას წარადგენს ძირითად საერთაშორისო საკითხებთან მიმართებაში.

ევროკავშირი არსებით როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში, ირანთან დიპლომატიის საკითხში და დასავლეთ ბალკანეთში, მათ შორის კოსოვოში, სტაბილურობის განმტკიცებაში. მას გააჩნია ჯარი, პოლიცია და მოსამართლეები, რომლებიც ხელს უწყობენ სიცოცხლის შენარჩუნებას და კონფლიქტების შემდეგ ქვეყნებისა და რეგიონების სტაბილიზაციას მთელს მსოფლიოში. ევროკავშირი უზრუნველყოფს დახმარებას სტიქიური უბედურებების შემდეგ საგანგებო მდგომარეობების დროს.

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) მაასტრიხტის ხელშეკრულებით დაარსდა, რომელიც ძალაში 1993 წელს შევიდა და შემდგომში დამატებით გაძლიერდა ისეთი დოკუმენტებით როგორიცაა ამსტერდამის ხელშეკრულება (1999), ნიცის ხელშეკრულება (2003) და ლისაბონის ხელშეკრულება (2009).

2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, ევროსაბჭომ ქ-ნი კატერინ ეშტონი ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენლად დანიშნა. იგი ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა საბჭოს და ატარებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. უმაღლეს წარმომადგენელს დახმარებას უწევს ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამსახური (EEAS).

### ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკის მიზნები მოიცავს:

ევროკავშირის ღირებულებების, ფუნდამენტური ინტერესების, უსაფრთხოების, დამოუკიდებლობის და მთლიანობის დაცვას;

დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და საერთაშორისო სამართლის კონსოლიდაციას და მხარდაჭერას;

მშვიდობის შენარჩუნებას, კონფლიქტების პრევენციას და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებას;

ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, ქვეყნებისა და რეგიონების დახმარებას.

## ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო პრიორიტეტები

- კანონის უზენაესობის განმტკიცება სასამართლო სისტემისა (პენიტენციური სისტემის ჩათვლით) და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საშუალებით. ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად;
- სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება გამჭვირვალე პრივატიზების პროცესის საშუალებით და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება;
- ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომი დაახლოება;
- თანამშრომლობის განმტკიცება მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში, საზღვრის მართვის ჩათვლით;
- რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება;
- შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში
- ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

# რა მინიმალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის მსურველი ქვეყანა?

1993 წლის ივნისში, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ევროპული საბჭოს მიერ კოპენჰაგენის სამიტზე შემუშავებული იქნა კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ წინაპირობებს იმ პოტენციური წვერი ევროპული გქეყნებისთვის, რომლებიც მიისწრაფვიან ევროკავშირში გაერთიანებისაკენ.

### ეს კრიტერიუმებია:

*პოლიტიკური კრიტერიუმი*
*ეკონომიკური კრიტერიუმი*
*სამართლებრივი კრიტერიუმი*

კოპენჰაგენის კრიტერიუმები წარმოადგენს მხოლოდ ზოგად პრინციპებს ან ნორმებს, შემუშავებულს ზოგადად ინტეგრაციის პროცესისათვის. პრაქტიკაში კი თითოეულ განმცხადებელ ქვეყანასთან, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მუშავდება შესაბამისი ქვეყნის ინტეგრაციისათვის აუცილებელ წინაპირობათა ერთობლიობა, რომელიც დეტალურად განისაზღვრება სათანადო გეგმაში და ასახვას ჰპოვებს კონკრეტულ ქვეყანასთან გაფორმებულ ,,ევროპულ შეთანხმებაში". თუმცა, ცალკეული ქვეყნებისათვის განსაზღვრული კონკრეტულ წინაპირობათა ერთობლიობა, დგინდება ზემოთხსენებული კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად და მის ფარგლებში.

## პოლიტიკური კრიტერიუმი

პოლიტიკური კრიტერიუმი გულისხმობს, სტაბილური ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვას.

პოლიტიკური კრიტერიუმი თავად შედგება გარკვეულ წინაპირობათა ერთობლიობისაგან, კერძოდ: დემოკრატიული წესრიგისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებისაგან, ისევე როგორც, ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველოყოფისაგან.

## ეკონომიკური კრიტერიუმი

ეკონომიკური კრიტერიუმი გულისხმობს, რომ გაწევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა ფლობდენ ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას და უნდა შესწევდეთ უნარი, იყვნენ კონკურენტუნარიანნი ევროგაერთიანების შიდა ბაზარზე.

ის საკმაოდ მჭიდრო კავშირშია სამართლებრივ კრიტერიუმთან. ზოგადად, განმცხადებელი სახელმწიფოები ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას უნდა ფლობდენ, ხოლო იმისათვის, თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები უნდა გაატარონ ამ მიზნით და რა კონკრეტული საკითხების მოწესრიგებაა პრიორიტეტული, საჭიროა ძალზედ ინტენსიური თანამშრომლობა ევროგაერთიანების სათანადო ორგანოებთან და შესაბამის წარმომადგენლობებთან.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპი ზოგადად გულისხმობს, პირველ რიგში საბაზრო პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევას და მეორე მხრივ, მონოპოლიის აკრძალვისა და კონკურენციის შესახებ კანონების მკაცრ განსაზღვრას, რასაც, ასევე დიდი ადგილი ეთმობა ევროგაერთიანების სამართალში და დამფუძნებელ ხელშეკრულებაშიც საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი.

## ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების

ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონიზების შედეგად შეიქმნა და საბოლოო ჯამში ერთიანი ვალუტის - ევროს შემოღებით დასრულდა. იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში გაწევრიანება, რაც, თავის მხრივ, ამ კონკრეტულ სახელმწიფოს ფარგლებში ევროს შემოღებასაც გულისხმობს, მას უნდა შეეძლოს გარკვეული ეკონომიკური მოთხოვნებისა და წინაპირობების შესრულება.

**ამ ეკონომიკურ კრიტერიუმებს ,,კონვერგენციული კრიტერიუმები. (Convergence Criteria) ეწოდება და ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით შემდეგ ძირითად მიმართულებებს გულისხმობს:**

გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოში შენარჩუნებული უნდა იყოს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი, შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში მაინც. ინფლაცია არ უნდა აღემატებოდეს 1,5%-ზე მეტით იმ სამი წევრი სახელმწიფოს მონაცემს, რომელთაც ყველაზე კარგი შედეგი აქვთ;

უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მაჩვენებელს 2%-ზე მეტით;

ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს;

სახელმწიფოს ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60% -ს;

უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ,,კონვერგენციული კრიტერიუმები" მოქმედებს უშუალოდ ევროგაერთიანების უკვე წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც განზრახული აქვთ ასევე ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში მონაწილეობაც. აღსანიშნავია, რომ პრეცენდენტი ქვეყნის მხრიდან მცდელობა, ეტაპობრივად განახორციელოს და მიუახლოვდეს ,,კონვერგენციულ კრიტერიუმებში" გათვალისწინებულ ეკონომიკურ სტაბილურობის დონეს, ევროგაერთიანების მხრიდან აღიქმება, როგორც პრეტენდენტის მიერ ეკონომიკური განვითარების, სტაბილურობის და შესაბამისად ეკონომიკური კრიტერიუმის შესასრულებლად მიმართული მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯი.

## სამართლებრივი კრიტერიუმი

სამართლებრივი კრიტერიუმი გულისხმობს გაწევრიანების მსურველი ევროპული ქვეყნების მიერ, ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზის, იგივე „Acques Communautaire"-ს, შიდა სამართალში გადმოღებას. ამ კრიტერიუმის თანახმად პოტენციური წევრი ქვეყნები მოვალენი ხდებიან, შესაბამისად გაითავისონ და შეასრულონ ევროგაერთიანების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

მასში იგულისხმება, როგორც დამფუძნებელი და სხვა შემდგომ მიღებული ხელშეკრულებები, ასევე მათში ასახული მიზნები და პრინციპები (პირველადი კაანონმდებლობა), ხელშეკრულების საფუძველზე ევროგაერთიანების ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები (მეორადი კანონმდებლობა).

Acques communautaire.ს გადმოღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ,

რომელიც მიისწრაფის ევროგაერთიანებაში ინტეგრაციისაკენ, გაითავისოს ევროგაერთიანების, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მიზნები. ევროგაერთიანების სამართლებრივი ნორმების სრულყოფილი გადმოღება და შიდა სამართალში დანერგვა, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია.

აუცილებელია, რომ გაწევრიანებისას შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყველა ის ძირითადი სფერო და მიმართულება ევროგაერთიანების ფარგლებში არსებული კანონმდებლობისა, რომლებიც ცალკეულ სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიერ იქნება გათვალისწინებული.

სამართლებრივი კრიტერიუმის მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან მიმართებაში, კანდიდატი სახელმწიფოს მიმართ არის მოლოდინი, რომ ის არა მარტო გადმოიღებს ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზას, არამედ გამოიყენებს და ყოველდღიურ ცხობრებაში რეალიზებადს გახდის ევროპულ სტანდარტებს და შესაბამის სამართლებრივ ნორმებს.

# საქართველო – რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს ქვეყანა მინიმალური სტანდარტების პირობებში

საქართველოში დღესდღეობით მიმდინარე შიდა პროცესებსგადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საქართველო-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობებზე. ევროკავშირის უმთავრეს მოთხოვნას შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენს. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს ასევე რეფორმებს, რომლებიც სახელმწიფოში მიმინარეობს. ევროინტეგრაციის გზაზე დიდი ყურადღება ექცევა განათლების, საგადასახადო, სასამართლო, საპოლიციო, აგრარულ და სხვა რეფორმებს. საქართველო მზად უნდა იყოს შეასრულოს დაახლოების პროცესში წამოშობილი ვალდებულებები, მხარი დაუჭიროს ევროპის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას და საერთაშორისო ტერორიზმის აღსაკვეთად მიმართულ ყველა აქტს. ამგვარად, საქართველომ, ევროკავშირში გასაწევრიანებლად, არაერთი რამ უნდა გააკეთოს;

1. შესაძლო შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება ხელი შეუწყოს სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებას
3. მიაღწიოს კონკრეტულ წარმატებებს კორუფციასთან ბრძოლაში
4. უზრუნველყოს დამოუკიდებელი, მიუკერძელებელი სასამართლო
5. დახვეწოს კანონმდებლობა და სამართლებრივი ბაზა
6 .წარმატებით გაატაროს პენიტენციალური რეფორმა.
7. უზურუნველყოს სოციალური დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა დაიცვას დასაქმებულთა უფლებები საქართველოში

ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობებისთვის საჭიროა გაგრძელდეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვა, პრივატიზაციის პოლიტიკის განხორციელება.

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზნებში გარკვევა და მათი ეფექტურად შესრულება. თუ სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციებს და მათი შესრულებით იქნება დაკავებული, მაშინ ევროსტანდარტებთან მიახლოება საკმაოდ რეალური გახდება უახლოეს მომავალში.

## სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

სოციალური უზრუნველყოფის სფერო მნიშვნელოვანია ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. ის, პრიორიტეტულ სფეროებს შორის, მე-3 ადგილასაა. სოციალური დაცვის პრობლემებს ეხმიანება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მე-4 თავის (ზოგადი მიზნები და ამოცანები) 4.4 ქვეთავი _ „ეკონომიკური და სოციალური რეფორმა, სიღარიბის დაძლევა და მდგრადი განვითარება“. სოციალური უზრუნველყოფა თავისთავად გულისხმობს სიღარიბის შემცირებას და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესებას. ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს დაევალა რეფორმების გატარება. სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტის სისტემური გადასინჯვა და შესწორება. თუმცა აღნიშნული რეფორმების განმტკიცება გულისხმობს სამართლიანი და ეფექტური ბაზის შექმნას სოციალური დახმარების სფეროში. გარდა მოცემული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა, 2005 წელს მოხდა ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირება. იგი ქვეყანაში წარმოადგენს ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარანტიას. აღსანიშნვანია, რომ საქართველო ევროპის სოციალურ ქარტიას სულიად არ შეერთებია და ,ხოლოდ ნაწილობრივ შეუერთდა, კერძოდ, საქართველომ სავალდებულოდ აღიარა ქარტიის ზოგიერთი მუხლი და პუნქტი ( მუხლი 1, 2, 4, 5, 6, 7, 8 და სხვა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სოციალური ქარტიის საქართველოს ტავრობის მიერ აღიარებული მუხლების მხოლოდ ნაწილია შესრულებული და გათვალისწინებული საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში , რაც აფერხებს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს.

დღემდე მთავრობის უმთავრეს საშუალოვადიან მიზნად ისევ რჩება სიღარიბის შემცირება და მოსახლეობაში სოციალურად დაუცველი ფენის კეთილდღეობის დაცვა. მთავრობა ამ ხასიათის ცვლილებას შეუდგა 2005 წლიდან, როდესაც უკიდურესად ღარიბი მოსახლეობისთვის სოციალური დაცვის ახალი სისტემის დანერგვის ინიციატივით გამოვიდა. კერძოდ, მთავრობის მიერ მომზადდა სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტები, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებად აღაირებუ იქნა სირარიბის დაძლევა და დასაქმების უზრუნველყოფა. პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო მთავრობამ აქტიური ღონისძიებების გაარება სოციალური დაცვის სფეროში, იყო 2005 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული #51 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტმა წარმოადგინა თვისებრივად ახალი კონცეფცია სოციალურად დაუცველი ადამიანების დაცვის თვალზასრისით და ამით საბოლოოდ ეთქვა უარი საბჭოური სოციალური დაცვის მოდელს.

ევროკავშირის ქვეყნები გამოირჩევიან მაღალი საპენსიო სტანდარტებით. საპენსიო სისტემის მოწესრიგება იწვევს სოციალური გარემოს გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოში, აღნიშნული სისტემი გაუმჯობესების პროცესი 2003 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი საპენსიო კანონების პაკეტი, რომელშიც შედიოდა „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესაებ“. „სავალდებულო დაზღვევის პენსიების შესახებ და „სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდვიდუალუეი (ოერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შესახებ“ კანონები. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს არსებული საპენსიო სისტემა საჭიროებს გადაუდებელ რეფორმირებას, თუმცა ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

სოციალური დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან მეტი მჭიდრო თანამშრომლობა და ჰარმონიზაცია. ამისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მისიის მონიტორინგის შედეგად შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულება.

## სოციალური დიალოგი და დასაქმებულთა უფლებების დაცვა საქართველოში

სოციალური დიალოგი ეს არის შრომითი ურთიერთობების სისტემური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების დაცვას და მათ შორის წარმოქმნილ სადაო საკითხებზე მხარეებითვის მისაღები შეთანხმების მიღწევას. სოციალური დიალოგის მიზანი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანაბარუფლებიანობის და დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

რა კავშირია სოციალური დიალოგი და დასაქმებულთა უფლებების დაცვა საქართველოში და ევროკავშირის სტანდარტებს შორის?

დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება უზრუნველყოფს „ევროპის სოციალური ქარტიით“ გაბსაზღვრული სტანდარტების შესრულების უზრუნველოფას. სოციალური ქარტია მოიცავს შემდეგი საკითხების საკანონმდებლო რეგულირებას: შრომის სამართლიანი პირობებით სარგებლობის უფლება; უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობს უფლება; შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება; კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება; ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა და სხვა. ევროპის ქარტიის რატიფიცირება საქართველოში მოხდა 2005 წელს და წარმოადგენს ქვეყანაში ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარანტიას. ეს უფლებები ევროპაში და ევროკავშირის ქვეყნებში იძლევა სოციალურ ურთიერთობებში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას.

მიუხედავად ქარტიის, 2005 წელს რატიფიცირებისა, 2008 წლამდე, საქართველოში სოციალური დიალოგის წარმოება, ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა. ამ წლის ბოლოს კი, ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას პროფკავშირებს, დამსაქმებლებსა და სახელმწიფოს შორის, რის შემდეგაც, სოციალურმა დიალოგმა შედარებით სისტემური სახე მიიღო, მაგრამ მაინც არ გახდა საკმარისი ამ ურთიერთობების ეფექტიანობისთვის. მართალია, მოცემული სამმხრივი შეთანხმება წინგადადგმული ნაბიჯია, რასაც ემატება 2010 წლის სოციალური პატნიიორობის სამმხრივი კომისიის შექმნა, მაგრამსაქართველოში სოციალური დიალოგი ჯერ-ჯერობით განვითარების დაბალ სტადიაზე იმყოფება.

გაეროს გენერალური ანსამბლეის 1966 წლის 16 დეკემრის პაქტში ადამიანის 7 უფლებაა თავმოყრილი, რომლის გათავლისწინება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მათი სრული უზრუნველყოფა შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს, რომელსაც ევროკავშირი აწესებს. ეს უფლებებია: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება, ოჯახის, აგრეთვე დედათა და ბავშვთა უფლებები, საკმარისი ცხოვრების დონის უფლება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი აღიარებს შრომის თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, საქართველო ცდილობს, აღნიშნული 7 უფლებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას, თუმცა, ამ 1 მუხლის ინტეგრირება კონსტიტუციაში საკმარისი არ არის. საქართველოს კანონმდებლობამ უნდა შეუმუშაოს გეგმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და შრომითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია უფრო მოქნილი შრომის კოდექსის შემუშავება და მისი მორგება დასაქმებულზე.

## განათლების სისტემა

ევროინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემის ევროპულთან ჰარმონიზაცია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, საქართველოში ძალიან პოპულარული იყო უმაღლესი განათლება და საქართველო გამოირჩეოდა უმაღლესი განათლების ხარისხით. თუმცა, შემდგომ პერიოდში სისტემა კორუფციის წინააღდეგ ბრძოლით ნამდვილად ვერ გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს განათლებას პრაქტიკულად ყველა ახალგაზრდა ეუფლებოდა, მათი პროცესიონალური მომზადების დონე ძალიან დაბალი იყო. სწორედ ამიტომ, განათლების სისტემის რეფორმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. ამ გზით შესაძლებელი იქნება ცხოვრების ევროპული სტანდარტების დანერგვა ან მათთან მიახლოება.

ევროკავშირი დღეს სამოქმედოდ ბოლონიის პროცესს იღებს, რომელიც 1999 წლის 19 ივნისაა მიღებული ევროპის 29 ქვეყნის ხელმოწერით. აღნიშნულ სამოქმედო გეგმას საქართველო 2005 წლის 19-20 მაისს გამართულ ბერგენის (ნორვეგია) სამიტზე მიუერთდა ბოლონიის პროცესს.

საქართველოს განათლების სისტემა ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. მოხერხდა 3-საფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემაზე გადასვლა, კორუფციის რისკებისგან მისაღები გამოცდების განთავისუფლება, თანამედროვე პროგრამების დანერგვა, მატერიალური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განახლება და სხვა.

## სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროკავშირთან ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაში

ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკურ და სოცუალურ ინტეგრაციაში სამოქალაქო საზოგადობას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია, ვინაიდან ეკომიკური და სოციალური ინტეგრაცია ევროინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება - საზოგადოების შემადგენელი აქტიური ნაწილი.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში საზოგადოებრივი სექრტორის აქტიურ მონაწილეობას ხაზს უსვამს ევროკავშირიც და ამას ოფიციალური პირები ხშირად აცხადებენ სხვადასხვა საჯარო გამოსვლაში.

სამოქალაქო საზოგადოების როლი, როგორც ზოგადად ევროინტეგრაციის, ასევე კონკრეტულად ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით, შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით განვიხილოთ:

- სამოქალაქო საოზოგადოება ინფორმაციის გამავრცელებლის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება დიალოგის წარმმართველის როლში;
- სამოქალქო საზოგადოება მკვლევარის და ლობისტის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება მონიტორის როლში;
- სამოქალაქო საზოგადოება კონსულტანტის როლში.

საზოგადოებაში ინფორმაციის სიმწირე განსაკუთრებით რეგიონებში შეინიშნება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწრაფად ცდილობენ მიიღონ და დაამუშაონ ინფორმაცია. ამ ტიპის ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი პრინციპი - გამჭვირვალობა კი საშუალებას იძლევა, რომ მათი მხრიდან შესაძლოდ სწარაფად მოხდეს ამ ინფორმაციის გავრცელება. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მუდმივად ხდება ევროინტეგრაციის საკითხების მეთვალყურეობა და შესაბამისი ინფორმაციის საზოგადოებისთვის ოპერატიული მიწოდება, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზებიც.

**სამოქალაქო საოზოგადოება ინფორმაციის გამავრცელებლის როლში** - ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას (განსაკუთრებით რეგიონებში) ოთხი მთავარი ხარვეზი/დაბრკოლება გააჩნია: (1) საინფორმაციო საშუალებების გარკვეული ნაწილი ხელისუფლებასთან ალიანსში იმყოფება და თავს არიდებს საზოგადოების სექტორის

*(დასასრული 7გვ.)*

# უმცირესობების ჩართულობა და განათლების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები

„ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ მხარეები ვალდებულებას იღებენ შემდგომში გააძლიერონ მხარეთა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ძირითადი თავისუფლებების, ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირების უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა. ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირთა უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპს და ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას.

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს განათლებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესთან.

გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში, ასევე სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შესაბამისად, გაიზრდება ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, გაზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის ჩარჩო კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევარების გაცვლასა და სხვა.

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც, ხელს შეუწყობს დასაქმებას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისა და პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, შეიქმნება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, რომელიც შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის (European Economic and Social Committee) წევრების ჩათვლით, და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას შეუძლია ასოცირების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს და გამოდის ინიციატივით, საქართველოს შრომის კოდექსში მორიგი ცვლილებების დროს, გათვალისწინებულ იქნეს ახალგაზრდების შრომითი უფლებები, ამ მიმართულებით კი სახელმწიფომ შექმნას სტუდენტთა დასაქმების ერთიანი სისტემა. მოქმედი შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს ახალგაზრდების შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს. ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს სტუდენტთა მიერ დახარჯული ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსების არასათანადოდ ანაზღაურებას. დამსაქმებლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული პასუხისმგებლობა სტუდენტთა თუნდაც დროებით დასაქმებაზე. შრომის კოდექსში გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდების სრულფასოვნად დასაქმებისა და ხელშეწყობის საკითხები.

„ახალგაზრდა ადვოკატები” საკითხთან მიმართებით რამდენიმე პრობლემატურ საკითხს გამოყოფს. კერძოდ:

მხედველობაში იღებს, შრომით ბაზარზე არსებული ნახევარგანაკვეთიანი ვაკანსიების/სამუშაო ადგილების ნაკლებობას, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში;

მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს სტუდენტთა დასაქმების ერთიანი სისტემა;

მხედველობაში იღებს, რომ საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტებში, გათვალისწინებული არ არის სტუდენტთა შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების დაცვის გარანტიები;

„ახალგაზრდა ადვოკატები” რეკომენდაციიც მიმართავს საქართველოს მთავრობას და საკითხის საკანონმდებლო დარეგულირებისთვის სთავაზობს ახალგაზრდების დასაქმებისთვის კომპლექსურ წინადადებებს. ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, სხვადასხვა კანონში თუ სამინისტროს მიმართ წინადადებების პაკეტს მოამზადებს.

***1. სახელმწიფო სექტორში გაიზარდოს ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოების რაოდენობა;***

***2. დაიწყოს მსჯელობა, თუ რამდენად შესაძლებელია, სახელმწიფომ სტუდენტების დასაქმების შემთხვევაში, კერძო სექტორს შეუმციროს მოგების ან საშემოსავლო გადასახადი***

***3. შეიქმნას სამუშაოს მაძიებელ სტუდენტთა ცალკე ბაზა, საიდანაც მოხდება სტუდენტების დასაქმება, როგორც დროებით, ასევე გრძელვადიან სამუშაო ადგილებზე.***

***4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტ პორტალის შექმნას, სადაც განთავსდება: ნახევარგანაკვეთიანი ვაკანსიები სტუდენტებისთვის, ანკეტა, სადაც აღწერილი იქნება სტუდენტთა განათლება, გამოცდილება და სხვა მახასიათებლები;***

***5. საკანონმდებლო დონეზე, დაიწყოს მსჯელობა, სტუდენტთა მიერ გაწეული შრომის საათობრივი ანაზღაურების მინიმალური ზღვარის შემოღებისა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულად შესრულებული სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.***

***6. დაიწყოს მსჯელობა, რათა უმაღლესი სასწავლებლებში შემოღებულ იქნეს კარიერის მართვის სამსახური, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც მთლიანად იქნება ორიენტირებული სტუდენტთა დასაქმების საკითხებზე, რადგანაც უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს კარიერის მართვის სამსახურების სიმცირე და მათი ნაკლებ ეფექტური მუშაობა.***

# საქართველო – რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს ქვეყანა მინიმალური სტანდარტების პირობებში

*(დასაწყისი 6 გვ.)*

მხრიდან მოწოდებული ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას; (2) ვინაიდან, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად სკანდალურია, საინფორმაციო საშუალებების გარკვეული ნაწილის ინტერესის სფეროში არ ექცევა და არ შუქდება; (3) დონორების დიდი ნაწილი მიმართულია სახელისუფლებო სექტორის დაფინანსებაზე, საიდან გამომდინარეც ევროინტეგრაციის საინფორმაციო კამპანია და ხელისუფლების PR კამპანია ერთმანეთშია არეული; (4) რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა არ ღებულობს მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის და საქართველოს ეროვნული პლათფორმის საქმიანობაში. ამასთან მათი გამოცდილება ევროინტეგრაციის საკითხებში შედარებით მწირია.

**სამოქალაქო საზოგადოება დიალოგის წარმმართველის როლში** - ევროინტეგრაციისკენ მიმართული საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობის გარეშე პოლიტიკა შესაძელებელია მხოლოდ ცალმხრივი იყოს და ნაკლებად პასუხობდეს საზოგადოების მოთხვნილებებს/საჭიროებებს. ამასთან, ეკონომიკური და სოციალური საკითხების განხილვისას აუცილებელია ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა სუბიექტების მოსაზრებების გაანალიზება, რათა არ მოხდეს მხოლოდ ცალმხრივი შეხედულებებით გადაწყვეტილების მიღება.

**საქმოქალაქო საზოგაეობა მკვლევარის და ლობისტის როლში** - სამოქალაქო საზოგადეობის ორგანიზაციებს თავიანთი საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად საკმაოდ კვალიფიციური კვლევები გააჩნიათ. ხელისუფლების მხრიდან ამ კვლევების შესაბამისი მოსაზრებების კვალიფიციური ანალიზი მნიშვნელოვნად შეამცირებდა იმ საფრთხეებს, რაც ნაჩქარევ და გაუაზრებელ პოლიტიკას შეიძლება მოყვეს.

**სამოქალაქო საზოგადოება მონიტორის როლში** - ევროინტეგრაციის კუთხით ხელისუფლების საქმიანობაზე მეთვალყურეობისთვის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სამოქალაქო მონიტორინგის განახორციელებაა. სამოქალაქო მონიტორინგი გულისხმობს სოციალური სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტების გეგმაზომიერ, სისტემატურ, გარკვეული სქემით ჩატარებულ კვლევას.

**სამოქალაქო საზოგადოება კონსულტანტის როლში** - მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციები ხელისუფლების წარმომადგენლებთან სხვადასხვა გამოცდილების გაზიარებისა და ექსპერტიზის თვალსაზრისით.

ევროკომისიის ინიციატივით, 2009 წლის 7 მაისს გამართულ პრაღის სამიტზე საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაო საზოგადოების ფორუმს, რომელიც აერთიანებს ამ ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიული გაერთიანებების და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებს. ფორუმის საქმიანობის ფარგლებში პარტნიორი ქვეყნების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მსჯელობენ იმაზე თუ, რომელი პოლიტიკის შემუშავება და გატარება არის აქტუალური ინდივიდუალური ქვეყნებისთვის რეალური პროგრესის მისაღწევად. სად არის სუსტი მხარეები და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა. პლათფორმა ხელს უყწობს დიალოგს, ქსელების შექმნას და გამოცდილების გაზიარებას (ევროკავშირში ინტეგრაციის ჩათვლით) თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებს ხელისუფლებებს შორის. საქართველოში 2010 წლის 7 ნოემბერს ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლათფორმა, რომლის ძირითადი ფუქციებია:

- აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატური პლატფორმებისა და სპეციალური ონიციატივებს მიმდინარეობის ხელშეწყობა საქართველოში.
- სამოქალაქო საზოგადეობის ფორუმზე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების წარდგენია და ფორუმის საქმიანობისთვის ხელშეწყობა.

# ევროკავშირი - ჩვენი მიზანია, შეთანხმება განხორციელდეს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში

ასოცირების შეთანხმება ოკუპირებულ რეგიონებზე მას შემდეგ გავრცელდება, რაც საქართველოს მიერ, მის მთელ ტერიტორიაზე შეთანხმების სრული იმპლემენტაცია იქნება უზრუნველყოფილი. ამის შესახებ ნათქვამია ასოცირების შეთანხმების იმ ნაწილში, რომელიც მის ტერიტორიულ გამოყენებას ეხება. „ასოცირების შეთანხმება გამოიყენება, ერთი მხრივ, იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ვრცელდება "ევროკავშირის შესახებ" ხელშეკრულება, "ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ" ხელშეკრულება და "ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების" დამფუძნებელი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად და მეორეს მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე. წინამდებარე შეთანხმების ან მისი IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) გამოყენება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებით, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, დაიწყება, როდესაც საქართველოს მიერ, მის მთელ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ იქნება წინამდებარე შეთანხმების ან IV კარის სრული იმპლემენტაცია და შესრულება", - ნათქვამია ასოცირების შეთანხმებაში, ხოლო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეთანხმების იმპლემენტაცია, ასოცირების საბჭო მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა მზადყოფნა გამოთქვა, განიხილოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება, - ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში.

„ევროკავშირის მიზანია, მოხდეს შეთანხმების განხორციელება საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში. ევროკავშირი მზადაა, განიხილოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მიზანი ისეთი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაა, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას მოუტანს სარგებელს", - ნათქვამია ევროკავშირის მიერ ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომი ნაბიჯი პარლამენტების მიერ დოკუმენტის რატიფიკაცია იქნება.

ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მისი რატიფიცირება საქართველოს, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის პარლამენტებმა, ასევე ევროპარლამენტმა უნდა განახორციელონ. პირველი ამ სიაში ლატვია იქნება, რომელიც ხელშეკრულების რატიფიცირებას 3 ივლის მოახდენს. ივლისში გეგმავს დოკუმენტის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტიც. ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წლისთვის არის ნავარაუდევი, თუმცა უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე წინმსწრებად ამოქმედდება შეთანხმების ნაწილი, მათ შორის DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. საქართველომ და ევროკავშირმა უკვე მიიღეს "ასოცირების დღის წესრიგი", რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას წარმოადგენს.

გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შეიქმნება ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე). ასოცირების შეთანხმების გამოყენებისა და შესრულების ზედამხედველობისა და მონიტორინგის გარდა, ასოცირების საბჭო განიხილავს შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან ორმხრივ თუ მრავალმხრივ საკითხს. ასოცირების საბჭო მინისტრების დონეზე შეიკრიბება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს. საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება. ასოცირების საბჭო უფლებამოსილია, განაახლოს ან შეასწოროს შეთანხმების დანართები, შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ნებისმიერი კონკრეტული დებულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ასოცირების საბჭოს, თავისი მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში, ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე) დაეხმარება. ასოცირების კომიტეტი ასევე შეიკრიბება სპეციალური ფორმით (ე.წ. ვაჭრობის კომიტეტი), რათა განიხილოს ყველა საკითხი, რაც ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ თემებს (DCFTA) უკავშირდება.

ასევე, შეიქმნება სპეციალური თემატური ქვეკომიტეტები, მათ შორის, საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი, რომლებიც საჯარო მოხელეების დონეზე შეიკრიბება და კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს.

ასოცირების საბჭოსთვის რეკომენდაციების მიცემა შეუძლება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმასაც.

ცნობისთვის, ასოცირების შეთანხმება განუსაზღვრელი ვადით იდება, თუმცა ნებისმიერ მხარეს შეუძლია, შეთანხმების დენონსაცია მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, რის შემდეგაც ხელშეკრულება მოქმედებას წყვეტს ექვსი თვის ვადაში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას ორგანიზაციის 28-ვე წევრი ქვეყნის ხელმოწერა ექნება. ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების უმაღლესი პირები შეთანხმებაზე საკუთარ ხელმოწერას მას შემდეგ დააფიქსირებენ, რაც დოკუმენტს თავდაპირველად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ევროკავშირის მხრიდან - ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი გააფორმებენ. ხელმომწერ პირებს შეთანხმების ორ-ორი ეგზემპლარი ექნებათ. ყველა მათგანზე ცალ-ცალკე დაფიქსირდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი პირების ხელმოწერაც.

# საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მანდატი

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა 1995 წლიდან თბილისში მოღვაწეობს. მისი მიზანია ევროკავშირის პოლიტიკის წარმოჩენა, ამ პოლიტიკისი განმარტება და განხორციელება, ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ ანგარიშების მომზადება და მათი ანალიზი. ევროკავშირის წარმომადგენლობა აწარმოებს მოლაპარაკებებს მისთვის მინიჭებული მანდატის ფარგლებში.

## წარმომადგენლობის მანდატი

წარმომადგენლობის ძირითადი საქმიანობა სამ სფეროშია თავმოყრილი: პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, თანამშრომლობა და საგარეო დახმარება. ამ ამოცანების შესასრულებლად ევროკავშირის ცდილობს წარმტებული კონტაქტების დამყარებას პარტნიორებთან საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროკავშირის წარმომადგენლობა აკვირდება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებს და რეგულარულ ანგარიშსა გზავნის სათაო ოფისში. წარმომადგენლობა ცდილობს, უზრუნველყოს შესაბამისობა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკას, ჰუმანიტარულ დახმარებას, დემოკრატიის მხარდაჭერას, ადამიანის უფლებების და მედიის, ინსტიტუციური მშენებლობის და სხვა საგარეო პოლიტიკის აქტივობებს შორის. ევროკავშირის, როგორც ერთ—ერთი ძირითადი დონორის, წარმომადგენლობა ჩართულია საგარეო დახმარების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

## ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. იგი ევროკავშირის მიერ 2008 წლის 15 სექტემბერს დაარსდა.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციის ხელშესაწყობად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 200-ზე მეტი სამოქალაქო დამკვირვებელი გამოიგზავნა. ისინი საქართველოსა და რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილ 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებასა და 2008 წლის 8 სექტემბრის განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან ყველა მხარის შესაბამისობაში ყოფნას აკვირდებიან.""მისიამ სადამკვირვებლო საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანის პროცესზე დაკვირვებით დაიწყო.""მას შემდეგ, მისია ახორციელებს 24 საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს. მისიის ძალისხმევა, ძირითადად, ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და ინციდენტების შესახებ ანგარიშების წარდგენას მოიცავს. ასევე, შესაბამის მიდამოებში მუდმივად ადგილზე ყოფნით მისია ზოგადად უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

## ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის

1992 — 2007 წლებიში ევროკავშირმა საქართველოს 530.8 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირმა 2008—2010 წლებისთვის ომის შედეგების შესამსუბუქებლად საქართველოს 500 მლნ ევრო გამოუყო. დამატებითი დაფინანსების დიდი ნაწილი ბოლო კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულ პირთა დახმარებას მოხმარდა; ასევე, 1990—იანი წლების კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებსაც. 2010 წლის აპრილში ევროკავშირმა 2011—2013 წლებში 180 მილიონი ევრო გამოყო დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ვაჭრობის და ინვესტიციების, მარეგულირებელი რეფორმის, რეგიონული განვითარების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სიღარიბის დასაძლევად და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდასაჭერად.

## ევროკავშირი და საქართველო — პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩო

ევროკავშირს საქართველოსთან პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება აქვს ხელმოწერილი. ეს შეთანხმება მხარეებს შორის მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ და კულტურულ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. 2006 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის. სამეზობლო პოლიტიკის მიზანია ევროკავშირის სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის გაზიარება მეზობელი ქვეყნებისთვის და მაათვის მჭიდრო პოლიტიკური, უსაფრთხოების სფეროს, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთავაზება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთან ევროკავშირის ურთიერთობის ახალი ეტაპია. ამ ურთიერთობას კიდევ უფრო ამყარებს 2009 წლის მაისში ევროკავშირის მიერ ინიცირებული აღმოსავლეთ პარტნიორობა, რომელიც ქმნის ასოცირების შეთანხმებების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანმემების ხელმოწერის საფუძველს, უფრო მჭიდრო კონტაქტებს ადამიანებს შორის და საქართველოს უფრო მჭიდრო ინტეგრირებას ევროპულ სტუქტურებში. საქართველოში ევროკავშირის ხელმძღვანელია ფილიპ დიმიტროვი.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

ღირსება თავისუფლება თანასწორობა — ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS — DIGNITY LIBERTY EQUALITY

*ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო:* არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

*ორგანიზაციის გუნდი:* ჯაბა სირაბიძე, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, სოფო გოგნაძე, ანა ბარათაშვილი, ანა რაიბული, ნინი ჯაჯანიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; სოფიო კვალიაშვილი - **ოფის-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

**მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;**

**E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები**